სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

19/12/2024

MES 4 24 0001633190

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის,უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი“-ს საფუძველზე (დამტკიცებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე, ოქმი #16), განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნინო მოდებაძის სამსახურებრივი ბარათის (16/12/2024 წ; N1613225) და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 დეკემბრის N 30 ოქმის N1 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვბრძანე

1.გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, მიმდინარე წლის 20 დეკემბრიდან სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

1.1 **განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:**
მეთოდიკის მიმართულებით

- ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (აფილირებული) 4 წლით;

2.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;

3.კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2025 წლის 22 იანვარს 10:00 საათზე და დასრულდეს 2025 წლის 28 იანვარს 17:00 საათზე;

4.საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე, №214 ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე,

5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2025 წლის 31 იანვარი;

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (ქ. ხმალაძე);

7.დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ს. რამაზაშვილს) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;

8.დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (თ. ასლანიშვილს) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

9.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

10. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა